



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი  
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი  
საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

„ეკოლოგიის (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)“  
საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა  
სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

24-25-26 მარტი, 2021

დასკვნის წარდგენის თარიღი

21 მაისი, 2021

თბილისი  
2021 წელი

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ<sup>1</sup>

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიითითებთ	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი საჯარო სამართლის იურიდიული პირი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204861970
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ეკოლოგია (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი (მეექვსე დონე)
მისანიჭებელი კვალიფიკაცია <sup>2</sup>	ეკოლოგიის ბაკალავრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	გარემოსმცოდნეობა 0521
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მიითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მიითითებთ (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული #98, 17 ოქტომბერი 2011

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ციცინო თურქაძე, აწსუ, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ინგა დიასამიძე, ბსუ, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო ლომთათიძე, ბსუ, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მარიამ ლობჯანიძე, საქართველოს უნივერსიტეტი

<sup>1</sup> ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მიითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

<sup>2</sup> უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

### ▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკოლოგიის (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა წარმოადგენს 2011 წლიდან უნივერსიტეტში მოქმედი აკრედიტებული საბაკალავრო პროგრამის „საბუნებისმეტყველო მეცნიერებები: ფიზიკა, ბიოლოგია, ეკოლოგია (ძირითადი და დამატებითი სპეციალობები)“ განახლებულ ვარიანტს. შესაბამისად, პროგრამას გააჩნია აკრედიტებულ რეჟიმში განხორციელების 10 წლიანი ისტორია. 2019 წელს ეროვნული კვალიფიკაციების განახლებულ ჩარჩოსთან და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან შესაბამისობაში მოყვანის პროცესში პროგრამა მოდიფიცირდა და მასში შემავალი სამივე მიმართულება ჩამოყალიბდა დამოუკიდებელ საბაკალავრო პროგრამებად. ეკოლოგიის შემთხვევაში პროგრამა ჩამოყალიბდა როგორც დამოუკიდებელი საბაკალავრო პროგრამა “ეკოლოგია (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)”.

წარდგენილ საბაკალავრო პროგრამაში “ეკოლოგია (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)” განახლებულია პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები, რომელიც ითვალისწინებს თანამედროვე ტენდენციებსა და საერთაშორისო სტანდარტებს.

პროგრამა ხორციელდება საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის ადმინისტრირებით. მიმდინარე ეტაპზე, პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობა შეადგენს 133 სტუდენტს, პროგრამას ემსახურება 40 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი, მათგან 23 აფილირებულია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტთან. ბოლო 5 წლის განმავლობაში კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი შეადგენს 75 %, მათ შორის მიღებული კვალიფიკაციით 60%, ხოლო შემდგომ საფეხურზე სწავლის გაგრძელების მაჩვენებელი 22%-ია.

აკრედიტებულ რეჟიმში პროგრამის განხორციელების პერიოდში პროგრამის მიმართ გამოიყენებოდა უნივერსიტეტში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები, რაც უზრუნველყოფდა პროგრამის განვითარებაში და განახლებაში ყველა დაინტერესებული მხარის (განმახორციელებელი პერსონალი, სტუდენტები, კურსდამტავრებულები, დამსაქმებლები) ჩართვას.

### ▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკოლოგიის (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება განხორციელდა „ჰიბრიდული“ მეთოდით. 2021 წლის 24-25-26 მარტს ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი და ინტერვიუება განხორციელდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით, ხოლო მატერიალურ-ტექნიკური რესურსების შეფასება განხორციელდა 2021 წლის 24 მარტს (სამუშაო დღის გარკვეულ მონაკვეთში).

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა იმუშავა წინასწარ განსაზღვრული დღის წესრიგით, დისტანციური მუშაობის რეჟიმის შეფერხებების გარეშე.

უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური რესურსების დათვალიერება და შეფასება განხორციელდა დაწესებულებაში ვიზიტის საფუძველზე, რომლის ფარგლებში დაწესებულებამ ექსპერტებს აჩვენა და წარუდგინა პროგრამის განხორციელებისათვის გამოყენებული ყველა მნიშვნელოვანი სასწავლო სივრცე და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასებულია სტანდარტის ყველა კომპონენტი, ასევე აღნიშნულია წარმოდგენილი პროგრამის მნიშვნელოვანი მიღწევები და პროგრესია. დასკვნაში წარმოდგენილი რეკომენდაციები და რჩევები მიმართულია პროგრამის გაუმჯობესებისათვის, რაც წინასწარ გაეცნო დაწესებულებას ზოგადი მიგნებების სახით და დადებითად იქნა აღქმული დაწესებულების მიერ.

## საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

- ექსპერტთა ჯგუფის მუშაობისა და ჩატარებული შეფასების შედეგად აკრედიტაციის სტანდარტების მიხედვით შეფასება შემდეგნაირია:

### 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

#### შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- |                                 |                                       |
|---------------------------------|---------------------------------------|
| 1.1 პროგრამის მიზნები           | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან          |
| 1.2. პროგრამის სწავლის შედეგები | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან |

პროგრამის მიზანი ასახავს, ეკოლოგიის ბაკალავრისათვის (გარემოსმცოდნეობის დარგი) საჭირო ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებს, რომელიც ითვალისწინებს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და საერთაშორისო ბაზრის ტენდენციებს, დარგისა და საზოგადოების განვითარების მოთხოვნებს.

პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბებისათვის პროგრამაზე მომუშავე ჯგუფმა გამოიყენა გაერთიანებული სამეფოს უმაღლესი განათლების ხარისხის კოდექსი ბიომეცნიერებებისთვის, რომელიც შემუშავებულია გაერთიანებული სამეფოს უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოს (QAA) მიერ და წარმოადგენს სწავლის შედეგების სტანდარტს. ამ დოკუმენტში მოცემულია სწავლის შედეგები ეკოლოგიისა და გარემოს ბიოლოგიის მიმართულებით, რასაც ეყრდნობა მოცემული პროგრამის სწავლის შედეგები.

პროგრამის სწავლის შედეგები კომპლექსურია და ძირითადად შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან - ეკოლოგიის ბაკალავრი, თუმცა, უფრო მეტად უნდა ასახავდეს პროგრამის მიზნებში გაცხადებულ ხედვას „გარემოსდაცვითი პრობლემებისა და მათი გადაჭრის შესაძლო გზების“ სწავლების შესახებ, რაც უნდა მოიცავდეს გარემოს (განსაკუთრებით ბუნებრივი ეკოსისტემების) დაბინძურების და ნივთიერებათა ბიოგეოქიმიური წრებრუნვების სწავლებას. წარმოდგენილი საკითხები ასახულია გარკვეულ სასწავლო კურსებში (ეკოლოგიის საფუძვლები, ტოქსიკოლოგიის საფუძვლები, ტყის ეკოლოგია და მეტეოვება), თუმცა პროგრამის სწავლის შედეგებში გარემოს დაბინძურებისა და ნივთიერებათა ბიოგეოქიმიური ციკლების საკითხების წარმოდგენა და შესაბამისი სასწავლო კურსებით უზრუნველყოფა მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს პროგრამის სწავლის შედეგებს მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან (ეკოლოგიის ბაკალავრი) მიმართებით. ასევე აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილ მიმართებებს სრულად ითვალისწინებს გაერთიანებული სამეფოს უმაღლესი განათლების ხარისხის მიერ ბიომეცნიერებებისთვის შემუშავებული დოკუმენტი, რომელსაც ეყრდნობა პროგრამის სწავლის შედეგები.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, დაწესებულებას აქვს ხედვა და შესაბამისი რესურსები ადეკვატურად განიხილოს და უპასუხოს წარმოდგენილ საკითხს. ამ მოსაზრებას აძლიერებს ის, რომ პროგრამის თვითშეფასებაში წარმოდგენილია გასაუმჯობესებელი მხარე - პრაქტიკული კურსების ბლოკის გამდიდრება სატყეო და ნიადაგშემსწავლელი მეცნიერებების კუთხით, რისთვისაც დაწესებულებას განსაზღვრული აქვს შესაბამისი აქტივობები.

### 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

#### მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- |  |                                       |
|--|---------------------------------------|
| 2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები  | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან          |
| 2.2. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი   | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან |
| 2.3. სასწავლო კურსი  | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან |
| 2.4. პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან          |
| 2.5. სწავლება-სწავლის მეთოდები   | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან          |
| 2.6. სტუდენტების შეფასება  | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან |

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომია. უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, რომლის გამოყენება პრაქტიკაში მდგრადადაა დანერგილი. წარმოდგენილი პროგრამა შედგენილია მოქმედი მეთოდოლოგიის გამოყენებით.

პროგრამა ეყრდნობა და იყენებს ახალი კვლევის შედეგებს და დარგის თანამედროვე მიღწევებს. ერთ-ერთი საყურადღებო საკითხი, რაც ეხება პროგრამის სწავლის შედეგებსა და შინაარსთან ურთიერთკავშირს არის პროგრამაში გარემოს დაბინძურებისა და ნივთიერებათა გეოქიმიური

წრებრუნვის საკითხების ჩართვა და გამლიერება, რაც უზრუნველყოფს მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი სწავლის შედეგების მიღწევას.

პროგრამის შემუშავებაში ჩართულია ყველა დაინტერესებული მხარე - აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი, სტუდენტი, კურსდამთავრებული და დამსაქმებელი. ამ მხრივ განსაკუთრებულად აღსანიშნავია უნივერსიტეტის სამეცნიერო პერსონალის ჩართულობის მაღალი ხარისხი, რაც კარგი პრაქტიკაა.

პროგრამის სასწავლო კურსებისათვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა, ასევე განსაზღვრული სწავლების ფორმატი, შეესაბამება ამ კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს. წარმოდგენილ პროგრამაში პრაქტიკული უნარების ჩამოყალიბებაზე მიმართული ზოგიერთი სასწავლო კურსი საჭიროებს მოდერნიზებას, კერძოდ, სასწავლო კურსი ბიოქიმია - ლაბორატორიული სამუშაოებისათვის გამოყოფილია მინიმალური საათები, ხოლო უჯრედის ბიოლოგიაში სემინარებია წარმოდგენილი. პროგრამის მენეჯმენტთან და სასწავლო კურსის განმახორციელებელთან ინტერვიუებამ, ასევე მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერებამ, აჩვენა, რომ დაწესებულებას აქვს მზაობა და გეგმავს ამ სასწავლო კურსებში ლაბორატორიული სამუშაოების წილის გაზრდას. აღნიშნულის კვალდაკვალ, შესაბამისად უნდა გაიზარდოს ლაბორატორიული სამუშაოების შეფასებისათვის გამოყოფილი შეფასების ქულაც.

სასწავლო კურსების სილაბუსებში დაწვრილებითაა წარმოდგენილი მიდგომები, მეთოდები და კრიტერიუმები სწავლის შედეგების მიღწევის შეფასებისათვის. სწავლის შედეგის მიღწევის დამადასტურებელი შეფასებისათვის დაწესებულება იყენებს ზღვრულ ქულებს, რაც აპრობირებული პრაქტიკაა და გამოიყენება „არგუსის“ სისტემაშიც. თუმცა ცალკეულ სილაბუსებში ნათლად არ არის წარმოდგენილი ისეთი ზღვრული ქულები, რომელიც ადასტურებს სასწავლო კურსის გარკვეულ სწავლის შედეგს. შესაბამისად, რეკომენდებულია სილაბუსებში აისახოს დადგენილი ზღვრული ქულები ისეთი სწავლის შედეგისათვის, რომლის მიღწევაც, შეფასების სპეციფიკური კომპონენტით დასტურდება.

წარმოდგენილი პროგრამა, სწავლის შედეგებისა და საბაკალავრო სწავლების საფეხურის შესაბამისად, უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის პრაქტიკული უნარების გამომუშავებას და მათ კვლევით პროექტებში ჩართვას. სტუდენტები ჩართულები არიან პროექტებში, რომლებიც ხორციელდება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკოლოგიის ინსტიტუტის, ასევე ზოოლოგიისა და ბოტანიკის ინსტიტუტების ბიუჯეტის დაფინანსებით, ამასთან ბაკალავრიატის სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა ჩაერთონ კვლევითი ინსტიტუტების მიერ განხორციელებულ ეროვნულ და საერთაშორისო კვლევით პროექტებში როგორც სავსე სამუშაოების, ასევე კვლევითი ინსტიტუტის ბაზების გამოყენებით.

შეფასების ფორმები, კომპონენტები და მეთოდები არის გამჭვირვალე, გამოქვეყნებულია და წინასწარ ცნობილია სტუდენტისათვის. სასწავლო კურსებში გამოიყენება მიმდინარე შეფასება, რომელიც მრავალ კომპონენტს მოიცავს მოიცავს სასწავლო კურსის სასემინარო, პრაქტიკული ან/და ლაბორატორიული სამუშაოების შეფასებას. სასწავლო კურსების სილაბუსებში ასეთი სახის შეფასებისათვის წარმოდგენილია ჯამური ქულები, რუბრიკებიც გაწერილია კრებისთი აქტივობების (ჯამურად, ყველა პრაქტიკულის, ან სემინარის, ან ლაბორატორიულის) გათვალისწინებით.

სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუებით გამოვლინდა, რომ პრაქტიკაში ძირითადად ასეთი ქულებით შეფასება სტუდენტებისათვის კურსის ბოლოს ხდება ცნობილი, თუმცა პედაგოგები მიმდინარე პროცესში ინიშნავენ ამ შეფასებებს. სტუდენტები აღნიშნავენ, რომ უკეთესი იქნება, თუკი მიმდინარე შეფასების ქულები გადანაწილდება თითოეულ შესრულებულ სამუშაოზე (სემინარზე, პრაქტიკულზე ან/და ლაბორატორიულზე) და სტუდენტს წინასწარ ეცოდინება ცალკეული მეცადინეობის მიმდინარე შეფასება. სტუდენტები და კურსდამთავრებულები აღნიშნავენ რომ ასეთი შეფასება იქნება დროული, განმავითარებელი, პროგრესზე ორიენტირებული, სამართლიანი, მარტივი, ზუსტი და ნათელი.

### **3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა**

### **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

- 3.1. სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- 3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა -

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სტუდენტური სერვის ცენტრი, რომელიც ინფორმაციას აწვდის სტუდენტებს ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში ჩართვის, სამეცნიერო და შემეცნებითი ღონისძიებების, სტაჟირებისა და დასაქმების შესაძლებლობების შესახებ, ხოლო საგარეო

ურთიერთობების სამსახური ადმინისტრირებას უწევს საერთაშორისო გაცვლით პროგრამებს და უზრუნველყოფს უნივერსიტეტის სტუდენტთათვის საერთაშორისო მობილობის შესაძლებლობების შექმნას. აკადემიური წერის ცენტრი აკადემიური წერის კურსების მიღმა სთავაზობს სტუდენტებს დახმარებას წერის უნარების განვითარების კუთხით.

2020 წელს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ, პროგრამით კმაყოფილების კვლევის შედეგების მიხედვით, გამოკითხულ სტუდენტთა 98%-ს ჰქონდა ლექტორთან კონსულტაციის გავლის შესაძლებლობა საჭიროების შემთხვევაში. შრომითი ხელშეკრულებები აკადემიური პერსონალის თანამდებობრივ მოვალეობებში ითვალისწინებს კონსულტაციებს პროგრამის სასწავლო და პრაქტიკული/ლაბორატორიული/ექსპერიმენტალური/საველე და ა.შ. კომპონენტებთან დაკავშირებით.

**4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა**

**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

4.1. ადამიანური რესურსი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
4.2. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
4.3. მატერიალური რესურსი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
4.4. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

პროგრამის განმახორციელებელი პირები პროგრამაში ჩართულები არიან კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის შიდა რეგულაციების შესაბამისად. პროგრამაში ჩართული აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის კვალიფიკაცია დასტურდება ბოლო 5 წლის განმავლობაში შესრულებული სამეცნიერო ნაშრომით და/ან პრაქტიკული პროექტით. პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, მისი კვალიფიკაცია დასტურდება მიმართულების შესაბამისი განათლებით, პრაქტიკული გამოცდილებით და სამეცნიერო ნაშრომებით.

უნივერსიტეტისა და პროგრამის განმახორციელებელი ფაკულტეტის საბიბლიოთეკო, მატერიალური და ტექნიკური რესურსები რაოდენობრივად და ხარისხობრივად უზრუნველყოფს წარმოდგენილი ეკოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას.

პროგრამის სააკრედიტაციო თვითშეფასებაში წარმოდგენილია გასაუმჯობესებელი მხარე - ქართულენოვანი სასწავლო რესურსის გამდიდრება. პროგრამის ხელმძღვანელთან და ფაკულტეტის დეკანთან ინტერვიუებით დასტურდება, რომ დაწყებულია ზოოლოგიის და ეკოლოგიის ელექტრონულ სახელმძღვანელოებზე და შავი ზღვის ვეშაპისნაირების, ეკოლოგიისა და კონსერვაციის სახელმძღვანელოზე მუშაობა და კონსერვაციული ბიოლოგიის ქართული სახელმძღვანელოს განახლება, ასევე სხვადასხვა ტაქსონომიური ჯგუფების ქართულენოვანი სარკვევების შექმნა.

ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა, რომ აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის ერთობლივი მუშაობით შესაძლებელია შეიქმნას საბაკალავრო და სამაგისტრო სწავლებაში საჭირო ქართულენოვანი სახელმძღვანელოები საქართველოსა და კავკასიის რეგიონის მცენარეთა და ცხოველთა ეკოლოგიის მიმართულებით, რასაც დიდი მნიშვნელობა ექნება ეროვნულ დონეზე.

**5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები**

**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

5.1. შიდა ხარისხის შეფასება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
5.2. გარე ხარისხის შეფასება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

პროგრამის განახლების პროცესში ჩატარებულია მოცულობითი სამუშაოები პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბებისა და განსაზღვრის, მიღწევის შეფასებისა და მონიტორინგისათვის, ამ პროცესში რაოდენობრივი და თვისებრივი მაჩვენებლების გათვალისწინებისათვის.

წარმოდგენილი პროგრამის თვითშეფასების ანგარიშში მოყვანილი აღწერები და შეფასებები ადასტურებს საუნივერსიტეტო და საფაკულტეტო ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების ნაყოფიერ და აქტიურ თანამშრომლობას პროგრამის შემუშავება-განახლების პროცესში, ასევე განახლებული პროგრამის ფუნქციონირების შემდგომ მიმართებებს, რაც დაკავშირებულია თითოეული სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულებისა და ცალკეული ინდიკატორების მიხედვით შეფასებასთან და ამ შეფასების შედეგების შემდგომ გამოყენებასთან. ამ პროცესებში პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფა ეფუძნება პრინციპს - "დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე".

2019 წლიდან პროგრამის ჯგუფმა დაიწყო ე.წ. რე-აკრედიტაციის მოსამზადებელი სამუშაოები, მოხდა პროგრამის მოდერნიზება და თვითშეფასების ფორმირება. პროგრამის თვითშეფასების პროცესში ჩართული იყვნენ კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები.

მოცემული პროცესი და აკრედიტაციაზე პროგრამის ხელახალი წარდგენა ადასტურებს დაწესებულების მიმართებას - რეგულარულად გამოიყენოს გარე ხარისხის შეფასება და მისი შედეგები პროგრამის განხორციელებასა და განვითარებაში.

პროგრამის შეფასებისათვის დაწესებულება მოქმედებს შიდა ხარისხის კონცეფციის მიხედვით, რომელშიც გათვალისწინებულია შიდა და გარე აქტორების მონაწილეობა შეფასების, მათ შორის პროგრამების შეფასების პროცესებში. კონცეფცია ეყრდნობა ინფორმაციის სისტემური შეგროვებას, დამუშავებასა და ანალიზს,

მოცემული კვლევები ადასტურებს, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური წარმართავს პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების საკითხებს, თუმცა ჩატარებული გამოკითხვების ანალიზის ცალკეულ დოკუმენტებში არ არის წარმოდგენილი რჩევები და რეკომენდაციები იმ გამოვლენილი საკითხებისათვის, რომელსაც ყურადღება უნდა მიექცეს პროგრამის შემდგომ განხორციელებაში. ასეთი შემთხვევისათვის, ვფიქრობთ, რომ მნიშვნელოვანია ანალიზშივე წარმოდგეს მიღებული მიგნებები და შესაბამისი რჩევები/რეკომენდაციები.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ინტერვიუებითა და თვითშეფასების ანგარიშით დასტურდება, რომ პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, გამოყენებულია საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა, რაც ამ ეტაპზე გამოიხატება გაერთიანებული სამეფოს უმაღლესი განათლების ხარისხის კოდექსის გამოყენებით, რომელიც მოიცავს ბიომეცნიერებებისთვის შემუშავებულ სწავლის შედეგების სტანდარტს, მათ შორის ეკოლოგიისა და გარემოს ბიოლოგიის მიმართულებისათვის.

## ▪ რეკომენდაციები

### კომპონენტი 1.2

- პროგრამის სწავლის შედეგებში აისახოს კურსდამთავრებულების კომპეტენცია (ცოდნა და უნარი) ბიოგეოქიმიური წრებრუნვის, გარემოს დაბინძურებისა და ამ დამაბინძურებლების გადატანა/ტრანსფორმაციის საკითხებზე, რომელიც მხარდაჭერილი/უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი სასწავლო კურსების გაძლიერებით/დამატებით.

### კომპონენტი 2.2

- პროგრამის შინაარსში და სტრუქტურაში გაძლიერდეს გარემოს დაბინძურებისა და ნივთიერებათა გეოქიმიური წრებრუნვის სწავლება, რაც სრულყოფს მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი სწავლის შედეგების მიღწევას.

### კომპონენტი 2.3

- სასწავლო კურსებში - ბიოქიმია, უჯრედის ბიოლოგია - გაიზარდოს იმ სამუშაოების წილი, რომელიც უზრუნველყოფს ლაბორატორიული მუშაობის პრაქტიკული უნარების განვითარებას.
- სილაბუსებში ნათლად მიეთითოს ლაბორატორიული სამუშაოებისათვის განკუთვნილი ზღვრული ქულები. მაგალითად, სასწავლო კურსებში - მოლეკულური ბიოლოგია, იმუნოლოგიის საფუძვლები, ტოქსიკოლოგიის საფუძვლები, ბიოქიმია, მიკრობიოლოგია და ვირუსოლოგია, ზოოლოგია.

### კომპონენტი 2.6

- გაუმჯობესდეს სტუდენტების მიმდინარე შეფასება პრაქტიკული /ლაბორატორიული /სასემინარო სამუშაოსათვის - პრაქტიკაში გამოყენებული ასეთი სამუშაოების შეჯამებული შეფასების ნაცვლად, ორიენტირება გაკეთდეს თითოეული სამუშაოს შეფასებაზე.

### კომპონენტი 4.3

- იდენტიფიცირებული გასაუმჯობესებელი მხარისათვის - ქართულენოვანი სასწავლო რესურსების გამდიდრება, შეიმუშავეთ საშუალოვადიანი და გრძელვადიანი სამოქმედო გეგმები, რომლებიც მხარდაჭერილი იქნება საუნივერსიტეტო

დაფინანსებით და შესასრულებელი სამუშაოებისათვის აქტიურად გამოიყენეთ pdca-ციკლის მიდგომები.

#### კომპონენტი 5.3

- პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების პროცესში გამოყენებული გამოკითხვების ანალიზის დოკუმენტებში აისახოს ძირითადი მიგნებები და რჩევები/რეკომენდაციები, რაც იქნება შესაბამისი პასუხისმგებელი სტრუქტურის/პირის შემდგომი ქმედებების ინიცირების საფუძველი.

#### ▪ რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

##### კომპონენტი 4.3

- აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის ერთობლივი მუშაობით შესაძლებელია შეიქმნას საბაკალავრო და სამაგისტრო სწავლებაში საჭირო ქართულენოვანი სახელმძღვანელოები საქართველოსა და კავკასიის რეგიონის მცენარეთა და ცხოველთა ეკოლოგიის მიმართულებით, რასაც დიდი მნიშვნელობა ექნება ეროვნულ დონეზე.

#### ▪ საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში) -

#### ▪ ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამის განხორციელებაში ჩართულია პროგრამის განმახორციელებელი ფაკულტეტის - საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის შემადგენლობაში არსებული კვლევითი ინსტიტუტების სამეცნიერო პერსონალი, მათ შორის ახალგაზრდა ასისტენტ-მკვლევარები და დოქტორანტები, რომლებიც თავიანთ გამოცდილებას უზიარებენ ბაკალავრიატის სტუდენტებს.

სტუდენტები ჩართულები არიან პროექტებში, რომლებიც ხორციელდება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკოლოგიის ინსტიტუტის, ასევე ზოოლოგიისა და ბოტანიკის ინსტიტუტების ბიუჯეტის დაფინანსებით, ამასთან ბაკალავრიატის სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა ჩაერთონ კვლევითი ინსტიტუტების მიერ განხორციელებულ ეროვნულ და საერთაშორისო კვლევით პროექტებში როგორც სავსე სამუშაოების, ასევე კვლევითი ინსტიტუტის ბაზების გამოყენებით. აღნიშნული პროექტების ფარგლებში სრულდება სასწავლო კომპონენტებში გათვალისწინებული კვლევითი პროექტები და საბაკალავრო ნაშრომები. ასეთი აქტივობებისათვის გამოყენებულია სავსე კვლევითი ბაზები - საქართველოს მაღალმთიანეთში, შავი ზღვის სანაპიროზე, აღმოსავლეთ საქართველოს არიდულ ლანდშაფტში, კვლევითი გემი, რომლის გამოყენებითაც იწარმოება შავი ზღვის ფაუნის, ფლორისა და გეოლოგიის კვლევები.

ინსტიტუტებს აქვთ მჭიდრო თანამშრომლობა საერთაშორისო პარტნიორებთან, მათ შორისაა ბონის ზოოლოგიის კვლევითი ინსტიტუტი და ბიომრავალფეროვნების ცენტრი, გოეტინგენის უნივერსიტეტი, კობლენცის უნივერსიტეტი, ბერლინის თავისუფალი უნივერსიტეტი (გერმანია); აიდაჰოს უნივერსიტეტი; მისურის ბოტანიკური ბაღი (აშშ); ტუმას უნივერსიტეტი (იტალია); ვარშავის ზოოლოგიის ინსტიტუტი (პოლონეთი); სტამბოლის, ზონგულდაკის, რიზეს და ჰაჯეტეპეს (ანკარა) უნივერსიტეტები (თურქეთი); ერევნის უნივერსიტეტი (სომხეთი); გენტის უნივერსიტეტი (ბელგია).

წარმოდგენილი პრაქტიკა საბაკალავრო საფეხურის სტუდენტებისათვის უზრუნველყოფს როგორც დარგის ახალი კვლევის შედეგებისა და დარგის თანამედროვე მიღწევების გაცნობას, ასევე წარმოადგენს კარგ შესაძლებლობას დაინტერესებული სტუდენტების სხვადასხვა სახის კვლევებში მონაწილეობისათვის.



## პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

### 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

<b>1.1 პროგრამის მიზნები</b>
<p>პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.</p>
<p><b>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b></p> <p>წარმოდგენილი საბაკალავრო პროგრამის მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული. პროგრამის მიზანი ასახავს, ეკოლოგიის ბაკალავრისათვის (გარემოსმცოდნეობის დარგი) საჭირო ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებს, რომელიც ითვალისწინებს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და საერთაშორისო ბაზრის ტენდენციებს, დარგისა და საზოგადოების განვითარების მოთხოვნებს.</p> <p>მიზნების რეალისტურობა და მიღწევადობა დასტურდება პროგრამის სტრუქტურით, შინაარსით და კურიკულუმის რუკით, სადაც წარმოდგენილია მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობა. პროგრამის მიზნები შეესაბამება როგორც ილიაუნის მისიას და სტრატეგიას, ასევე საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის მიზნებსა და სტრატეგიული განვითარების გეგმას.</p> <p>პროგრამის მიზნები საჯაროა და ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისათვის უნივერსიტეტის ვებ-გვერდისა და სხვადასხვა საინფორმაციო კამპანიების საშუალებით. ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუებით დასტურდება, რომ პროგრამის მიზნები გაზიარებულია პროგრამაში ჩართული პერსონალის მიერ.</p>
<p><b>მტკიცებულებები/ინდიკატორები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მისია <a href="https://iliauni.edu.ge/ge/iliauni/misia-2">https://iliauni.edu.ge/ge/iliauni/misia-2</a></li> <li>• საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის სტრატეგიული გეგმა</li> <li>• საგანმანათლებლო პროგრამა</li> <li>• ინტერვიუების შედეგები</li> </ul>
<p><b>რეკომენდაციები:</b></p> <p>-</p>
<p><b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b></p> <p>-</p>
<p><b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b></p>
<p><b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b></p> <p>-</p>
<p><b>შეფასება</b></p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

## 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს, რაც დასტურდება პროგრამის კურიკულუმითა და ე.წ. „კურიკულუმის რუკით“, რომელშიც მოცემულია სწავლის შედეგებისა და პროგრამის მიზნების შესაბამისობა, ასევე სასწავლო კომპონენტების კავშირი სწავლის შედეგებთან. პროგრამის სწავლის შედეგები არის გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტური, რომელიც შეესაბამება პროგრამის კურსდამთავრებულთა პროფესიით დასაქმების სფეროების მოთხოვნებს და იძლევა განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას.

პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბებისათვის პროგრამაზე მომუშავე ჯგუფმა გამოიყენა გაერთიანებული სამეფოს უმაღლესი განათლების ხარისხის კოდექსი (UK Quality Code for Higher Education) ბიომეცნიერებებისთვის, რომელიც წარმოადგენს სწავლის შედეგების შემუშავებულ სამიზნე ნიშნულებს (Subject Benchmark Statements for Biosciences). ამ დოკუმენტებში მოცემულია სწავლის შედეგები ეკოლოგიისა და გარემოს ბიოლოგიის მიმართულებით, რასაც ეყრდნობა მოცემული პროგრამის სწავლის შედეგები.

პროგრამის სწავლის შედეგები კომპლექსურია, შეესაბამება დარგის სპეციფიკას და შრომის ბაზრის მოთხოვნებს, შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციათა ჩარჩოს მეექვსე საფეხურის აღმწერს, წარმოადგენს შინაარსით გათვალისწინებულ იმ ძირითად ცოდნას, უნარებს და პასუხისმგებლობა/ავტონომიურობას, რასაც მიაღწევს პროგრამის კურსდამთავრებული. პროგრამის სწავლის შედეგები ძირითადად შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან - ეკოლოგიის ბაკალავრი, თუმცა, გარკვეულწილად, ნაკლები დოზით ასახავს პროგრამის მიზნებში გაცხადებულ ხედვას „გარემოსდაცვითი პრობლემებისა და მათი გადაჭრის შესაძლო გზების“ სწავლების შესახებ, რაც უნდა მოიცავდეს გარემოს (განსაკუთრებით ბუნებრივი ეკოსისტემების) დაბინძურების და ნივთიერებათა ბიოგეოქიმიური წრებრუნვების შესწავლას. წარმოდგენილი საკითხები ასახულია გარკვეულ სასწავლო კურსებში (ეკოლოგიის საფუძვლები, ტოქსიკოლოგიის საფუძვლები, ტყის ეკოლოგია და მეტყვეობა), თუმცა პროგრამის სწავლის შედეგებში გარემოს დაბინძურებისა და ნივთიერებათა ბიოგეოქიმიური ციკლების საკითხების წარმოდგენა და შესაბამისი სასწავლო კურსებით უზრუნველყოფა მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს პროგრამის სწავლის შედეგებს მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან (ეკოლოგიის ბაკალავრი) მიმართებით. ასევე აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილ მიმართებებს სრულად ითვალისწინებს გაერთიანებული სამეფოს უმაღლესი განათლების ხარისხის კოდექსი ბიომეცნიერებებისთვის (იხ. ზღვრული და ტიპიური სწავლის შედეგების სტანდარტი ეკოლოგიისა და გარემოს ბიოლოგიის მიმართულებისათვის), რომელსაც ეყრდნობა პროგრამის სწავლის შედეგები.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, დაწესებულებას აქვს ხედვა და შესაბამისი რესურსები ადექვატურად განიხილოს და უპასუხოს წარმოდგენილ საკითხს. ამ მოსაზრებას აძლიერებს ის, რომ პროგრამის თვითშეფასებაში წარმოდგენილია გასაუმჯობესებელი მხარე - პრაქტიკული კურსების ბლოკის გამდიდრება სატყეო და ნიადაგმემსწავლელი მეცნიერებების კუთხით, რისთვისაც დაწესებულებას განსაზღვრული აქვს შესაბამისი აქტივობები.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუების შედეგებით დასტურდება, რომ პროგრამის შემუშავებასა და სწავლის შედეგების განსაზღვრაში ჩართულია დაინტერესებული მხარეები - აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები, ამასთან პროგრამაში ჩართული პირები უზრუნველყოფენ დაინტერესებული პირებისთვის სწავლის შედეგების გაცნობას.

წარმოდგენილ განახლებულ პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, რომელიც ერთობლივი მუშაობის შედეგად შემუშავებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა და პროგრამაზე მომუშავე ჯგუფის მიერ. შესაბამისად, ჩამოყალიბებულია პროგრამის სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულები და შეფასების გეგმა, რაც მოიცავს შეფასების პირდაპირ და არაპირდაპირ მეთოდებს. შეფასების პირდაპირი მეთოდი ითვალისწინებს მონაცემების შეგროვებას სამიზნე ნიშნულების და ინდიკატორების გამოყენებით, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმით განსაზღვრული პერიოდულობით. არაპირდაპირ შეფასების მიზნით დაწესებულება გეგმავს ჩაატაროს რაოდენობრივი გამოკითხვები პროგრამის დამამთავრებელი სემესტრის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან, და ფოკუს ჯგუფი პროგრამის დამსაქმებლებთან ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის კონცეფციის და პროგრამის განხორციელების შეფასების წესის მიხედვით.

შესაბამისად, წარმოდგენილი კონცეფციისა და გეგმის მიხედვით, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება ხდება თანმიმდევრულად და გამჭვირვალედ, დარგის სპეციფიკისთვის დამახასიათებელი პერიოდულობით. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად, რაც გულისხმობს, საჭიროების შემთხვევაში, პროგრამის შინაარსის და/ან სწავლის შედეგების და/ან შეფასების სისტემის მოდიფიცირებას.

აღსანიშნავია, რომ პროგრამის შეფასების საკითხებზე უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შემუშავებული აქვს ტრენინგ-მოდული, რომელიც ეყრდნობა საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას შედეგზე ორიენტირებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების სფეროში. აღნიშნული ტრენინგ-მოდული ხელმისაწვდომია პროგრამის ადმინისტრატორებისთვის, ხელმძღვანელებისთვის და სწავლების პროცესში ჩართული პერსონალისთვის.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის CV-ებითა და ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუების შედეგებით დასტურდება, რომ პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი იცნობს სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებს, იღებს მხარდაჭერას სწავლის შედეგების შედგენის, გაზომვისა და ანალიზის უნარების განვითარებისთვის. ამ მიზნით, დაწესებულებაში მოქმედებს აკადემიური პერსონალისა და მასწავლებელთა განვითარების ცენტრი, რომელიც საკუთარი მიზნებისა და სამოქმედო გეგმის შესაბამისად პერსონალს სთავაზობს ტრენინგებს უმაღლესი განათლებაში გამოყენებული სწავლების თანამედროვე მიდგომების შესახებ.

#### **მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საბაკალავრო პროგრამა და სწავლის შედეგების რუკა
- სწავლის შედეგების შეფასების სამიზნე ნიშნულები და გეგმა
- QAA Subject Benchmark Statements: Biosciences (2019).
- საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები
- შიდა ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია
- პროგრამის შეფასების კრიტერიუმები, ფორმები და ინსტრუქციები
- ინტერვიუს შედეგები

<p><b>რეკომენდაციები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• პროგრამის სწავლის შედეგებში აისახოს კურსდამთავრებულების კომპეტენცია (ცოდნა და უნარი) ბიოგეოქიმიური წრებრუნვის, გარემოს დაბინძურებისა და ამ დამაბინძურებლების გადატანა/ტრანსფორმაციის საკითხებზე, რომელიც მხარდაჭერილი/უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი სასწავლო კურსების გაძლიერებით/დამატებით.</li> </ul>
<p><b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b></p> <p>-</p>
<p><b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b></p> <p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <p>-</p>
<p><b>შეფასება</b></p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

### პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

<b>2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები</b>
<p>უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.</p>
<p><b>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b></p> <p>საბაკალავრო პროგრამაზე “ეკოლოგია (მირითადი და დამატებითი სპეციალობა)” მიღება ხდება ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე, რომლის სპეციფიკას მნიშვნელოვნად განსაზღვრავს სახელმწიფო რეგულაციები. ამ მოთხოვნებისა და სხვა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, დაწესებულებას განსაზღვრული აქვს პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, რაც ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას, უზრუნველყოფს პროგრამის დასაძლევად აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციის მქონე პირთა პროგრამაზე სასწავლებლად ჩართვას.</p> <p>პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომია. დაინტერესებულმა პირმა ეს ინფორმაცია შესაძლებელია იხილოს უნივერსიტეტის ვებ-გვერდებზე და ერთიანი ეროვნული გამოცდების ცნობარში. ინფორმაცია პროგრამის მიღების პირობების შესახებ თავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე რუბრიკაში “მიღება” და შეფასებებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე.</p> <p>პროგრამის პოპულარიზაციის და აბიტურიენტებისთვის სრულყოფილი ინფორმაციის მიწოდების მიზნით ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის PR-ის სამსახურის მხარდაჭერით, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტი ორგანიზებას უწევს აბიტურიენტებთან საინფორმაციო შეხვედრებს, როგორც დედაქალაქში, ასევე რეგიონებში. ამავე მიზნით 2020 წლიდან უნივერსიტეტი ატარებს ონლაინ „ღია კარის დღეს“.</p>
<p><b>მტკიცებულებები/ინდიკატორები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• საგანმანათლებლო პროგრამა</li> <li>• ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდი</li> <li>• შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებგვერდი</li> </ul>
<p><b>რეკომენდაციები:</b></p> <p>-</p>
<p><b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b></p> <p>-</p>
<p><b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b></p>
<p><b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b></p> <p>-</p>
<p><b>შეფასება</b></p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

## 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, რომლის გამოყენება პრაქტიკაში მდგრადადაა დანერგილი. წარმოდგენილი პროგრამა შედგენილია მოქმედი მეთოდოლოგიის გამოყენებით.

პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად. პროგრამის შინაარსი, მოცულობა და კომპლექსურობა შეესაბამება საბაკალავრო სწავლების საფეხურს. პროგრამის მოცულობაა 240 კრედიტი, რომელიც განაწილებულია შემდეგნაირად:

- თავისუფალი კომპონენტი: ზოგადი მოდული - 60 კრედიტი,
- ძირითადი სწავლის სფერო - 120 კრედიტი,
- დამატებითი პროგრამა / თავისუფალი კომპონენტი - 60 კრედიტი.

მათ შორის:

**ძირითადი სწავლის სფეროს 120 კრედიტი** მიიღება შემდეგი კურსების ერთობლიობით:

- სავალდებულო კურსები - 60 კრედიტი
- ეკოლოგიის მიმართულების სავალდებულო-არჩევითი კურსები - მინიმუმ 48 კრედიტი,
- ეკოლოგიის მიმართულების არჩევითი კურსები - მაქსიმუმ 12 კრედიტი.

**თავისუფალი კომპონენტის სახით წარმოდგენილი 60 კრედიტიანი ზოგადი მოდული** აგებულია შემდეგი სასწავლო კომპონენტებით:

- შესავალი თანამედროვე აზროვნებაში I და II - 12 კრედიტი,
- აკადემიური მუშაობის ტექნიკები - 6 კრედიტი,
- ინგლისური ენის პრაქტიკული კურსები - 24 კრედიტი,
- შესავალი კურსები - 18 კრედიტი.

წარმოდგენილი კონფიგურაციის მიხედვით, ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის თავისუფალი კომპონენტების ფარგლებში არჩევითობას.

პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს. პროგრამაში შემავალი სასწავლო კომპონენტები არის თანმიმდევრულად და ლოგიკურად დალაგებული. შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები არის ადეკვატური.

პროგრამა ეყრდნობა და იყენებს ახალი კვლევის შედეგებს და დარგის თანამედროვე მიღწევებს. ერთ-ერთი საყურადღებო საკითხი, რაც ეხება პროგრამის სწავლის შედეგებისა და შინაარსის ურთიერთკავშირს, არის პროგრამაში გარემოს დაბინძურებისა და ნივთიერებათა გეოქიმიური წრებრუნვის საკითხების ჩართვა და გაძლიერება. ეს საკითხი დაწვრილებითაა აღწერილი 1.2 კომპონენტში.

ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებაა, რომ მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან კავშირში (ეკოლოგიის ბაკალავრი) პროგრამის შინაარსში და სტრუქტურაში გაძლიერდეს და/ან

<p>ჩაერთოს გარემოს დაბინძურებისა და ნივთიერებათა გეოქიმიური წრებრუნვის საკითხები, რაც უზრუნველყოფს მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი სწავლის შედეგების მიღწევას.</p> <p>ასევე აღსანიშნავია, რომ ამ მიმართებით დაწესებულებას დაგეგმილი აქვს პროგრამის პრაქტიკული კურსების გაძლიერება სატყეო და ნიადაგმემსწავლელი მეცნიერებების კუთხით, რისთვისაც გეგმავს შესაბამისი აკადემიური პერსონალის ჩართვას.</p> <p>პროგრამის შემუშავებაში ჩართულია ყველა დაინტერესებული მხარე - აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი, სტუდენტი, კურსდამთავრებული და დამსაქმებელი. ამ მხრივ განსაკუთრებულად აღსანიშნავია უნივერსიტეტის სამეცნიერო პერსონალის ჩართულობის მაღალი ხარისხი, რაც კარგი პრაქტიკაა.</p> <p>უსდ უზრუნველყოფს პროგრამის შესახებ ინფორმაციის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას. დაინტერესებული მხარეებისა და პოტენციური სტუდენტებისთვის პროგრამასთან დაკავშირებული ინფორმაცია (მიზნები, შედეგები, სემესტრული გეგმა და ა.შ.) განთავსებულია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდზე.</p>
<p><b>მტკიცებულებები/ინდიკატორები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• საბაკალავრო პროგრამა და სწავლის შედეგების რუკა</li> <li>• სასწავლო კომპონენტების სილაბუსები</li> <li>• ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდი</li> <li>• ინტერვიუების შედეგები</li> </ul>
<p><b>რეკომენდაციები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• პროგრამის შინაარსში და სტრუქტურაში გაძლიერდეს გარემოს დაბინძურებისა და ნივთიერებათა გეოქიმიური წრებრუნვის სწავლება, რაც სრულყოფს მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი სწავლის შედეგების მიღწევას.</li> </ul>
<p><b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b></p> <p>-</p>
<p><b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b></p>
<p><b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b></p> <p>-</p>
<p><b>შეფასება</b></p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p><b>2.3. სასწავლო კურსი</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>➢ ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;</li> <li>➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.</li> </ul>
<p><b>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b></p> <p>ძირითადი სპეციალობის სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. პროგრამას თან ახლავს ე.წ. „კურიკულუმის რუკა“, სადაც წარმოდგენილია სასწავლო კურსებისა და პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისობა. აღნიშნული რუკა ლოგიკურია და ნათლად წარმოადგენს პროგრამის სწავლის შედეგების</p>

შესაბამისობას სასწავლო კომპონენტებთან.

პროგრამის სასწავლო კურსებისათვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა, ასევე განსაზღვრული სწავლების ფორმატი (ლექცია, პრაქტიკული, სემინარი, ლაბორატორია და სხვა), შეესაბამება ამ კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს. წარმოდგენილ პროგრამაში პრაქტიკული უნარების ჩამოყალიბებაზე მიმართული ზოგიერთი სასწავლო კურსი საჭიროებს მოდერნიზებას, კერძოდ, სასწავლო კურსი ბიოქიმია - ლაბორატორიული სამუშაოებისათვის გამოყოფილია მინიმალური საათები, ხოლო უჯრედის ბიოლოგიაში სემინარებია წარმოდგენილი. პროგრამის მენეჯმენტთან და სასწავლო კურსის განმახორციელებლებთან ინტერვიუებამ, ასევე მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერებამ, აჩვენა, რომ დაწესებულებას აქვს მზაობა და გეგმავს ამ სასწავლო კურსებში ლაბორატორიული სამუშაოების წილის გაზრდას. აღნიშნულის კვალდაკვალ, შესაბამისად უნდა გაიზარდოს ლაბორატორიული სამუშაოების შეფასებისათვის გამოყოფილი შეფასების ქულაც. ამ მიდგომებით, სასწავლო კურსი ბიოქიმია უფრო მეტად უპასუხებს სწავლის შედეგს - „იცის ძირითადი ბიოქიმიური მეთოდები და მათი გამოყენება ლაბორატორიულ პირობებში“ - მიღწევას. ასეთივე მიმართებითაა გასაზრდელი ლაბორატორიული სამუშაოების წილი უჯრედული ბიოლოგიის სასწავლო კურსში. წარმოდგენილ მიმართებებს ამყარებს ასევე ინტერვიუების დროს გაჟღერებული სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების მოსაზრებებიც.

მოცემული კომპონენტის შეფასებაში ერთ-ერთი საკითხია თუ როგორ ფასდება სასწავლო კურსის თითოეული სწავლის შედეგის მიღწევა. ამ მიმართებით საყურადღებოა შემდეგი: სასწავლო კურსების სილაბუსებში დაწვრილებითაა წარმოდგენილი მიდგომები, მეთოდები და კრიტერიუმები სწავლის შედეგების მიღწევის შეფასებისათვის. სწავლის შედეგის მიღწევის დამადასტურებელი შეფასებისათვის დაწესებულება იყენებს ზღვრულ ქულებს, რაც აპრობირებული პრაქტიკაა და გამოიყენება „არგუსის“ სისტემაშიც. თუმცა ცალკეულ სილაბუსებში ნათლად არ არის წარმოდგენილი ასეთი ზღვრული ქულები. შესაბამისად, რეკომენდებულია სილაბუსებში აისახოს დადგენილი ზღვრული ქულები ისეთი სწავლის შედეგისათვის, რომლის მიღწევაც, შეფასების სპეციფიკური კომპონენტით დასტურდება. მაგალითად, ასეთია ლაბორატორიული სამუშაოებისათვის გაწერილი 20 ქულა სასწავლო კურსში „ქიმიის საფუძვლები“, რომელიც უკავშირდება ამავე კურსის შემდეგი სწავლის შედეგების დადასტურებას: „• აქვს ლაბორატორიაში მუშაობის და კვლევის განხორციელების საბაზისო უნარები: მას შეუძლია დაამზადოს ლაბორატორიისთვის საჭირო სხვადასხვა ტიპის ხსნარები (კონცენტრაციის, მოლარობის, ნორმალობის მიხედვით); ჩაატაროს ცდები ამომცნობი რეაქციების მიხედვით; განსაზღვროს წყლის დაბინძურების სხვადასხვა აგენტები. • იცავს ლაბორატორიაში უსაფრთხოების წესებს“. აღნიშნული 20 ქულისათვის სილაბუსში არ არის წარმოდგენილი ზღვრული ქულა, თუმცა განმახორციელებელ პერსონალთან გასაუბრებით და პრაქტიკული გადამოწმებით ასეთი ზღვრული ქულის გამოყენების პრაქტიკა დადასტურდა. ასეთივე მიდგომებით, სილაბუსში ზღვრული ქულების ნათლად წარმოდგენას საჭიროებს სასწავლო კურსები: ბიოქიმია, მოლეკულური ბიოლოგია, იმუნოლოგიის საფუძვლები, ტოქსიკოლოგიის საფუძვლები, მიკრობიოლოგია და ვირუსოლოგია, ზოოლოგია.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საბაკალავრო პროგრამა და სწავლის შედეგების რუკა
- სასწავლო კომპონენტების სილაბუსები
- პროგრამის მიზნებისათვის გამოყენებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა
- ინტერვიუების შედეგები

**რეკომენდაციები:**

- სასწავლო კურსებში - ბიოქიმია, უჯრედის ბიოლოგია - გაიზარდოს იმ სამუშაოების



<p>წილი, რომელიც უზრუნველყოფს ლაბორატორიული მუშაობის პრაქტიკული უნარების განვითარებას.</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• სილაბუსებში ნათლად მიეთითოს ლაბორატორიული სამუშაოებისათვის განკუთვნილი ზღვრული ქულები. მაგალითად, სასწავლო კურსებში - მოლეკულური ბიოლოგია, იმუნოლოგიის საფუძვლები, ტოქსიკოლოგიის საფუძვლები, ბიოქიმია, მიკრობიოლოგია და ვირუსოლოგია, ზოოლოგია.</li> </ul>
<p><b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b></p> <p>-</p>
<p><b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b></p> <p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <p>-</p>
<p><b>შეფასება</b></p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input checked="" type="checkbox"/> <b>მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</b></p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p><b>2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება</b></p>
<p>პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.</p>
<p><b>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b></p> <p>წარმოდგენილი პროგრამა, სწავლის შედეგებისა და საბაკალავრო სწავლების საფეხურის შესაბამისად, უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის პრაქტიკული უნარების გამომუშავებას და მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.</p> <p>პროგრამა ითვალისწინებს საბაკალავრო ნაშრომის შესრულებას, თუმცა ეს კომპონენტი არჩევითია. აღნიშნული არ წარმოდგენს რაიმე შეუსაბამობას, რადგან წარმოდგენილი პროგრამის სასწავლო კურსების დიდი ნაწილი, განსაკუთრებით სწავლის დამამთავრებელ სემესტრებში, ითვალისწინებს კვლევითი ხასიათის პროექტების შესრულებას, რაც ავითარებს სტუდენტების პრაქტიკულ და კვლევით უნარებს - სამეცნიერო ლიტერატურასთან დამოუკიდებელ მუშაობას, პროექტის ანგარიშის წარდგენას ზეპირად და წერილობით.</p> <p>სტუდენტები ჩართულები არიან პროექტებში, რომლებიც ხორციელდება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკოლოგიის ინსტიტუტის, ასევე ზოოლოგიისა და ბოტანიკის ინსტიტუტების ბიუჯეტის დაფინანსებით, ამასთან ბაკალავრიატის სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა ჩაერთონ კვლევითი ინსტიტუტების მიერ განხორციელებულ ეროვნულ და საერთაშორისო კვლევით პროექტებში როგორც სავლე სამუშაოების, ასევე კვლევითი ინსტიტუტის ბაზების გამოყენებით. აღნიშნული პროექტების ფარგლებში სრულდება სასწავლო კომპონენტებში გათვალისწინებული კვლევითი პროექტები და საბაკალავრო ნაშრომები. ასეთი აქტივობებისათვის გამოყენებულია სავლე კვლევითი ბაზები - საქართველოს მაღალმთიანეთში, შავი ზღვის სანაპიროზე, აღმოსავლეთ საქართველოს არიდულ ლანდშაფტში, კვლევითი გემი, რომლის გამოყენებითაც იწარმოება შავი ზღვის ფაუნის, ფლორისა და გეოლოგიის კვლევები. უნივერსიტეტში შემუშავებულია დეტალური ინსტრუქცია ლაბორატორიული უსაფრთხოების წესების შესახებ, რომელსაც ეცნობა სტუდენტი კვლევითი და ლაბორატორიული სამუშაოების დაწყებამდე.</p>

ინსტიტუტებს აქვთ მჭიდრო თანამშრომლობა საერთაშორისო პარტნიორებთან, მათ შორისაა ბონის ზოოლოგიის კვლევითი ინსტიტუტი და ბიომრავალფეროვნების ცენტრი, გოეტინგენის უნივერსიტეტი, კობლენცის უნივერსიტეტი, ბერლინის თავისუფალი უნივერსიტეტი (გერმანია); აიდაჰოს უნივერსიტეტი; მისურის ბოტანიკური ბაღი (აშშ); ტუმას უნივერსიტეტი (იტალია); ვარშავის ზოოლოგიის ინსტიტუტი (პოლონეთი); სტამბოლის, ზონგულდაკის, რიზეს და ჰაჯეტეპეს (ანკარა) უნივერსიტეტები (თურქეთი); ერევნის უნივერსიტეტი (სომხეთი); გენტის უნივერსიტეტი (ბელგია).

პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის ერთ-ერთი ფორმაა - საველე პრაქტიკა, რომელიც ორგანიზებული და დაგეგმილია პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად. საველე პრაქტიკის ორგანიზებას, ტრანსპორტირებას და ბაზებზე განთავსებას უზრუნველყოფს უნივერსიტეტი. პრაქტიკის გავლის პერიოდში და სამეცნიერო-კვლევით პროექტში ჩართვის შემთხვევაში სტუდენტს ხელმძღვანელობას უწევს და აფასებს დარგის კვალიფიციური პირი. ასეთ აქტივობებს ახორციელებს საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის შემადგენლობაში არსებული კვლევითი ინსტიტუტების სამეცნიერო პერსონალიც, მათ შორის ახალგაზრდა ასისტენტ-მკვლევარები და დოქტორანტები, რომლებიც თავიანთ გამოცდილებას უზიარებენ ბაკალავრიატის სტუდენტებს. წარმოდგენილი პრაქტიკა არის საუკეთესო მიდგომა, რაც შეიძლება დაწესებულებამ გამოიყენოს მოცემულ ეტაპზე.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საბაკალავრო პროგრამა და სწავლის შედეგების რუკა
- სასწავლო კომპონენტების სილაბუსები
- პროგრამის განხორციელებაში გამოყენებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა
- პერსონალის CV, რომლითაც დასტურდება საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობა
- დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ეროვნული და საერთაშორისო კვლევითი პროექტების ნუსხა. სადაც ნაჩვენებია სტუდენტთა ჩართულობის მაგალითები. (დანართი 1)
- ინტერვიუების შედეგები

**რეკომენდაციები:** -

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -**

**შეფასება**

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები**

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

პროგრამა ხორციელდება სწავლა-სწავლების მეთოდების ფართო სპექტრის გამოყენებით. სასწავლო პროცესის დაგეგმვის პროცესში, სწავლა-სწავლების მეთოდების შერჩევისას, აკადემიური პერსონალი ითვალისწინებს კურსის შინაარსს და სწავლის შედეგებს. ამ მეთოდების გამოყენების პრაქტიკა აკრედიტებული პროგრამის არსებობის მანძილზე კიდევ უფრო იხვეწება და ვითარდება.

უნივერსიტეტში დადგენილია და პრაქტიკაში გამოიყენება ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების მიდგომები. ამ შემთხვევებში გაითვალისწინება სტუდენტების განსხვავებული მოთხოვნები, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებები და აკადემიური მომზადება. საგანმანათლებლო პროცესში მათი შეუფერხებელი ჩართულობის უზრუნველსაყოფად გათვალისწინებულია ინდივიდუალური საკონსულტაციო შეხვედრები ლექტორებთან, რომელიც წინასწარ თანხმდება სტუდენტებთან საოფისე საათების ფარგლებში, ან სტუდენტის ინდივიდუალური მოთხოვნის საფუძველზე “არგუსის” ან კორპორატიული მეილის საშუალებით. სტუდენტებს აგრეთვე აქვთ შესაძლებლობა, ონლაინ რეჟიმში დარეგისტრირდნენ აკადემიური წერის ცენტრის ტუტორთან ინდივიდუალურ შეხვედრაზე და ინდივიდუალური შეხვედრების ფორმატში მიიღონ კონსულტაცია მათთვის საჭირო კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით, ან მიიღონ უკუკავშირი წერით ნაშრომთან დაკავშირებით.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამა
- სასწავლო კურსების სილაბუსები
- არჩევანის უზრუნველყოფის სისტემა „არგუსი“
- აკადემიური წერის ცენტრის დებულება და ვებგვერდი
- ინტერვიუს შედეგები

**რეკომენდაციები:**

-

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

-

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

-

**შეფასება**

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**2.6. სტუდენტების შეფასება**

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

უნივერსიტეტში არსებული სასწავლო პროცესის რეგულაციები, შეფასების დადგენილი პროცედურები და ელექტრონული სისტემები უზრუნველყოფს სტუდენტის შეფასების გამჭვირვალეობას. სასწავლო კომპონენტებში გამოყენებული სტუდენტების შეფასება მრავალკომპონენტურია, თითოეული კომპონენტისათვის განსაზღვრულია კონკრეტული

და გაზომვადი კრიტერიუმები და რუბრიკები, რომელიც გამოიყენება შეფასების პროცესისათვის.

შემფასებლისთვის კარგადაა ცნობილი შეფასების თანამედროვე მეთოდები და ამ სფეროში თავისი უნარების განვითარებისათვის იღებს მხარდაჭერას.

თითოეული სასწავლო კურსის შეფასების კომპონენტები და მეთოდები ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას და შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს.

შეფასების ფორმები, კომპონენტები და მეთოდები არის გამჭვირვალე, გამოქვეყნებულია და წინასწარ ცნობილია სტუდენტისათვის. სასწავლო კურსებში გამოიყენება მიმდინარე შეფასება, რომელიც მრავალ კომპონენტს მოიცავს სასწავლო კურსის სასემინარო, პრაქტიკული ან/და ლაბორატორიული სამუშაოების შეფასებას. სასწავლო კურსების სილაბუსებში ასეთი სახის შეფასებისათვის წარმოდგენილია ჯამური ქულები, რუბრიკებიც გაწერილია კრებსითი აქტივობების (ჯამურად, ყველა პრაქტიკულის, ან სემინარის, ან ლაბორატორიულის) გათვალისწინებით.

სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუებით გამოვლინდა, რომ პრაქტიკაში ძირითადად ასეთი ქულებით შეფასება სტუდენტებისათვის კურსის ბოლოს ხდება ცნობილი, თუმცა პედაგოგები მიმდინარე პროცესში ინიშნავენ ამ შეფასებებს. სტუდენტები აღნიშნავენ, რომ უკეთესი იქნება, თუკი მიმდინარე შეფასების ქულები გადანაწილდება თითოეულ შესრულებულ სამუშაოზე (სემინარზე, პრაქტიკულზე ან/და ლაბორატორიულზე) და სტუდენტს წინასწარ ეცოდინება ცალკეული მეცადინეობის მიმდინარე შეფასება. სტუდენტები და კურსდამთავრებულები აღნიშნავენ რომ ასეთი შეფასება იქნება დროული, განმავითარებელი, პროგრესზე ორიენტირებული, სამართლიანი, მარტივი, ზუსტი და ნათელი.

სტუდენტების მიმდინარე შეფასებაში ასევე გამოიყენება ქვიზების, ტესტირების, პრეზენტაციის, წერიტი დავალების წარდგენის ფორმები, რომელთა შეფასება ნათელია, ამ პროცესში სტუდენტები იღებენ უკუკავშირს, სწავლის შედეგებზე, აგრეთვე საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეებისა შედეგების გაუმჯობესების შესახებ ინფორმაციას.

პროგრამის განხორციელების პრაქტიკაში გამოყენებულია ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, რომელიც მოიცავს სტუდენტების გამოკითხვას და მათგან უკუკავშირის მიღებას კურსით განსაზღვრული შეფასების სისტემის ეფექტიანობის შესახებ. გამოკითხვების შედეგად დგინდება, რამდენად ინფორმირებული იყო წინასწარ სტუდენტი შეფასების სისტემის შესახებ, რამდენად ობიექტური იყო შეფასება, დროულად იტვირთებოდა თუ არა შეფასების შედეგები სისტემა „არგუსში“, იღებდა თუ არა ლექტორისგან უკუკავშირის ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ.

უნივერსიტეტში არსებობს შეფასების გასაჩივრების მექანიზმი, რომელიც აძლევს სტუდენტს შესაძლებლობას, საფუძვლიანი ეჭვის შემთხვევაში, საპრეტენზიო განაცხადით მიმართოს ფაკულტეტს, რის შემდეგაც შესაბამისი პროცედურებით იქმნება საპრეტენზიო კომისია და განიხილება კონკრეტული შემთხვევა.

#### **მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამა
- პროგრამაში შემავალი კურსების სილაბუსები
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კრიტერიუმები
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა შეფასების, კრედიტების მინიჭების, რეიტინგისა და დამატებით/განმეორებით კურსებზე/კომპონენტებზე თანხის გადახდის განსაზღვრის წესი
- არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის სისტემა „არგუსი“
- სასწავლო კურსების შეფასების ინსტრუმენტები
- ინტერვიუს შედეგები

<p><b>რეკომენდაციები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>გაუმჯობესდეს სტუდენტების მიმდინარე შეფასება პრაქტიკული/ლაბორატორიული/სასემინარო სამუშაოსათვის - პრაქტიკაში გამოყენებული ასეთი სამუშაოების შეჯამებული შეფასების ნაცვლად, ორიენტირება გაკეთდეს თითოეული სამუშაოს შეფასებაზე.</li> </ul>
<p><b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b></p> <p>-</p>
<p><b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b></p>
<p><b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b></p> <p>-</p>
<p><b>შეფასება</b></p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

### პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		

### 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

#### 3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

##### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტებისთვის უნივერსიტეტში იმართება საორიენტაციო დღეები, სადაც მათ საშუალება აქვთ მიიღონ ინფორმაცია სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მართვის თავისებურებებზე. სტუდენტები რეგისტრირდებიან არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის სისტემა „არგუსში“ საიდანაც საშუალება ეძლევათ აირჩიონ პროგრამის ძირითადი და ასარჩევი სასწავლო კურსები, გაეცნონ მიმდინარე და დასკვნით შეფასებებს, სილაბუსებს, სასწავლო მასალას და სხვ. ინტერვიუს დროს, სტუდენტებმა ხაზი გაუსვეს პროგრამაში ნავიგაციის მოქნილობასა და სიმარტივეს. ეკრანის გაზიარების საშუალებით მოახდინეს „არგუსის“ შესაძლებლობების დემონსტრირება სასწავლო პროცესის მართვისა და კომუნიკაციის კუთხით. სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ „არგუსის“ მეშვეობით მათ შეუძლიათ დანიშნონ კონსულტაციები ლექტორებთან/ პროგრამის ხელმძღვანელთან. ასევე, გაასაჩივრონ კონკრეტული შეფასებები და მიიღონ უკუკავშირი.

2020 წელს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ, პროგრამით კმაყოფილების კვლევის შედეგების მიხედვით, გამოკითხულ სტუდენტთა 98%-ს ჰქონდა ლექტორთან კონსულტაციის გავლის შესაძლებლობა საჭიროების შემთხვევაში. შრომითი ხელშეკრულებები აკადემიური პერსონალის თანამდებობრივ მოვალეობებში ითვალისწინებს კონსულტაციებს პროგრამის სასწავლო და პრაქტიკული/ ლაბორატორიული/ ექსპერიმენტალური/ საველე და ა.შ. კომპონენტებთან დაკავშირებით.

ინტერვიუს დროს, სტუდენტები და ლექტორები აღნიშნავენ, რომ კონსულტაციების დასანიშნად აქტიურად მიმართავენ სისტემა „არგუსს“. სტუდენტებმა გამოხატეს კმაყოფილება იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ ყოველთვის ენიშნებათ კონსულტაცია საჭიროების შემთხვევაში, როგორც ლექტორებთან ისე პროგრამის ხელმძღვანელთან.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სტუდენტური სერვის ცენტრი, რომელიც ინფორმაციას აწვდის სტუდენტებს ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში ჩართვის, სამეცნიერო და შემეცნებითი ღონისძიებების, სტაჟირებისა და დასაქმების შესაძლებლობების შესახებ, ხოლო საგარეო ურთიერთობების სამსახური ადმინისტრირებას უწევს საერთაშორისო გაცვლით პროგრამებს და უზრუნველყოფს უნივერსიტეტის სტუდენტთათვის საერთაშორისო მობილობის შესაძლებლობების შექმნას. აკადემიური წერის ცენტრი აკადემიური წერის კურსების მიღმა სთავაზობს სტუდენტებს დახმარებას წერის უნარების განვითარების კუთხით. ინტერვიუს დროს, სტუდენტები ადასტურებდნენ, რომ სისტემატიურად იღებენ მსგავსი შინაარსის შეტყობინებებს „არგუსის“ ან ელ. ფოსტის მეშვეობით. აკადემიური პერსონალი სტუდენტებს მიმდინარე საგრანტო პროექტებში რთავს. მაგ. ეკოლოგიის ინსტიტუტის ბაზაზე სტუდენტები ჩართულნი არიან Cabol პროექტში. სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტი ბიუჯეტის ფარგლებში სთავაზობს სტუდენტებს ფინანსურ მხარდაჭერას პროექტების განხორციელებაში ან/და საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობისათვის. თუმცა, აღსანიშნავია, რომ საბაკალვრო პროგრამის სტუდენტები ადგილობრივ და საერთაშორისო

კონფერენციებში მონაწილეობას ნაკლებად იღებენ.

მნიშვნელოვანია, რომ სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა სურვილის შემთხვევაში ისარგებლონ სტუდენტთა ფსიქოლოგიური კონსულტირების ცენტრის მომსახურებით.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- აკადემიური წერის ცენტრის დებულება
- საგარეო ურთიერთობების სამსახურის დებულება
- არჩევანის უზრუნველყოფის ელექტრონული სისტემა “არგუსი”
- სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტის დებულება
- შრომითი ხელშეკრულების ნიმუშები
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუების შედეგები

რეკომენდაციები: -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -

**შეფასება**

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა**

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

**მტკიცებულებები/ინდიკატორები -**

რეკომენდაციები: -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -

**შეფასება**

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			

#### 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

##### 4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

##### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია. საბაკალავრო პროგრამა „ეკოლოგიის“ განხორციელებაში ჩართულია 40 პირი, მათ შორის 11 პროფესორი, 12 ასოცირებული პროფესორი, 10 მეცნიერი და 7 მოწვეული.

პროგრამის განმახორციელებელი პირები პროგრამაში ჩართულები არიან კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის შიდა რეგულაციების შესაბამისად. აკადემიური პერსონალი თანამდებობაზე არჩეულია კონკურსის საფუძველზე, რომლის მოთხოვნები ითვალისწინებს პერსონალის განათლებას, გამოცდილებას, კვალიფიკაციას და სამეცნიერო საქმიანობას. პერსონალის კვალიფიკაცია შესაბამისობაშია მათ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან, ფუნქციებსა და მოქმედ კანონმდებლობასთან.

პროგრამაში ჩართული აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის კვალიფიკაცია დასტურდება ბოლო 5 წლის განმავლობაში შესრულებული სამეცნიერო ნაშრომით და/ან პრაქტიკული პროექტით. პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირები წარმოადგენენ დარგში მოწინავე მეცნიერებს, რომლებიც კვლევითი და აკადემიური საქმიანობის გარდა, საექსპერტო მომსახურებებს უწევენ სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებს.

უნივერსიტეტში დასაქმებულ აკადემიურ/სამეცნიერო პერსონალს და მოწვეულ ლექტორებს შორის არსებული შეფარდება (33/7), ასევე აკადემიურ/სამეცნიერო პერსონალს, მოწვეულ ლექტორებსა და სტუდენტებს შორის თანაფარდობა (40/133) დაბალანსებულია და უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით; ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მათ მიერ განსახორციელებელ ფუნქციებს.

პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, მისი კვალიფიკაცია დასტურდება მიმართულების შესაბამისი



განათლებით, პრაქტიკული გამოცდილებით და საერთაშორისო მასშტაბით ხილვადი სამეცნიერო ნაშრომებით; პროგრამის ხელმძღვანელი ფაკულტეტის და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მხარდაჭერით, მონაწილეობს პროგრამის შეფასება-განვითარებაში, ჩართული არის პროგრამის განხორციელებაში, სტუდენტების კონსულტირებაში, პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ სხვადასხვა ღონისძიებებში.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- პროგრამაში ჩართული აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის პირადი საქმეები;
- პროგრამაში ჩართული ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის სამუშაო აღწერილობები;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსის ჩატარების წესი და აკადემიურ თანამდებობაზე დასაქმების პირობები;
- რეკომენდებული სასწავლო სემესტრული გეგმა;
- აკადემიურ და სამეცნიერო პერსონალთან გასაფორმებელი შრომითი ხელშეკრულებების ნიმუშები;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროგრამის განხორციელების შეფასების წესი;
- პროგრამის ხელმძღვანელების საქმიანობის წესი;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი და მეთოდოლოგია;
- ინტერვიუების შედეგები.

**რეკომენდაციები:**

-

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

-

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

-

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

-

**შეფასება**

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება**

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

ილიაუნში მოქმედებს პერსონალის მართვისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი, რომელიც მოიცავს პერსონალის შეფასებისა და კმაყოფილების კვლევას. პროგრამაში ჩართული პერსონალის მიმართ უნივერსიტეტი რეგულარულად აწარმოებს და აქტიურად იყენებს პერსონალის შეფასებისა და კმაყოფილების კვლევას, აანალიზებს მიღებულ შედეგებს და საჭიროების მიხედვით გეგმავს შესაბამის ღონისძიებებს.

აკადემიური პერსონალის შეფასებისათვის გამოყენებული მექანიზმი ითვალისწინებს

კვლევასთან და სწავლებასთან დაკავშირებული საქმიანობის შეფასებას, ხოლო მოწვეული პერსონალის შემთხვევაში — სწავლების შეფასებას. შეფასების შედეგები გამოყენებულია პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის, მათი წახალისებისა და დაწინაურებისთვის.

პროგრამის განხორციელებაში ჩართულია პროგრამის განმახორციელებელი ფაკულტეტის - საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის შემადგენლობაში არსებული კვლევითი ინსტიტუტების სამეცნიერო პერსონალი, მათ შორის ახალგაზრდა ასისტენტ-მკვლევარები და დოქტორანტები, რომლებიც თავიანთ გამოცდილებას უზიარებენ ბაკალავრიატის სტუდენტებს.

პერსონალის მართვის საუნივერსიტეტო სტრატეგიული მიზნები ითვალისწინებს პერსონალის პროფესიულ განვითარებას. ამ მიზნებისთვის უნივერსიტეტში შეიქმნა მასწავლებელთა განვითარების ცენტრი (TSDC), რომელიც უზრუნველყოფს სწავლების პროცესში ჩართული პერსონალისთვის სასწავლო პროცესის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული ტრენინგ-მოდულების შეთავაზებას. აღნიშნული ცენტრი დაარსდა ERASMUS + პროექტის PRINTeL მხარდაჭერით.

უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისა და მკვლევრების კვლევით საქმიანობას მხარდაჭერას უწევს სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულები, სამეცნიერო კვლევების კოორდინაციისა და განვითარების სამსახურები. სამსახურები თავისი კომპეტენციის ფარგლებში კოორდინაციას უწევენ და მხარს უჭერენ უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულებს და აკადემიურ პერსონალს სამეცნიერო-კვლევითი პროექტების მოზიდვასა და განხორციელებაში. სამსახურების საქმიანობა რეგულირდება შესაბამისი დოკუმენტებით.

უნივერსიტეტში 2017 წლიდან მოქმედებს სამეცნიერო საბჭო, რომელიც მიზნად ისახავს უნივერსიტეტში სამეცნიერო კვლევის დღის წესრიგის განსაზღვრა/განვითარებასა და კვლევითი საქმიანობის შეფასების პროცესებების რეგულირებას. სამეცნიერო საბჭოს საქმიანობა რეგულირდება შესაბამისი დებულებით. ამავე საბჭოს რეკომენდაციების საფუძველზე უნივერსიტეტი ყოველწლიურად გამოჰყოფს ინსტიტუციური განვითარების გრანტებს უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის მიერ წარდგენილი პროექტებისთვის, რომელიც ემსახურება კვლევითი და საგანმანათლებლო პროცესების ხელშეწყობას.

უნივერსიტეტი მხარს უჭერს აკადემიური პერსონალისა და დოქტორანტების მონაწილეობას საერთაშორისო კონფერენციებში. კერძოდ, ამ მიზნით უნივერსიტეტში მოქმედებს კონფერენციებში მონაწილეობის დაფინანსების წესი, რომელშიც განსაზღვრულია კონკრეტული მოთხოვნები უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისა და დოქტორანტებისთვის. აღსანიშნავია ასევე ის, რომ პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი წარმოადგენს კვლევითი ინსტიტუტის მკვლევრებს, რომლებიც ჩართულნი არიან მიმდინარე კვლევით პროექტებში. მკვლევრები უნივერსიტეტის კვლევით საბჭოს ყოველწლიურ წარუდგენენ ანგარიშს კვლევითი ინსტიტუტის საქმიანობის შესახებ. უნივერსიტეტში კვლევითი პოტენციალის გაზრდას ასევე ემსახურება ახალგაზრდა მკვლევრებისთვის დაწესებული ჯილდო - პასკალის პრემია, დარგში გაკეთებული განსაკუთრებული სამეცნიერო პუბლიკაციისთვის. საგარეო ურთიერთობების სამსახური უზრუნველყოფს შესაძლებლობების შექმნას უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისა და დოქტორანტების საერთაშორისო მობილობისათვის ERASMUS + პროგრამების ფარგლებში; ხელს უწყობს უცხოელი მკვლევრებისა და პროფესორების მობილობას სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში და შესაბამისი მიმართულების სპეციალისტებს შორის კავშირების დამყარებას.

#### **მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- პროგრამაში ჩართული აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის პირადი საქმეები;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი;

<ul style="list-style-type: none"> <li>• პროგრამაში ჩართული ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის სამუშაო აღწერილობები;</li> <li>• აკადემიური პერსონალისა და მასწავლებელთა განვითარების ცენტრის სამოქმედო გეგმა;</li> <li>• განვითარების სამსახურის, საგარეო ურთიერთობების სამსახურისა და კვლევების კოორდინაციის სამსახურის დებულებები;</li> <li>• სერვისებით კმაყოფილების კვლევა;</li> <li>• საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის დაფინანსების წესი;</li> <li>• ინტერვიუს შედეგები.</li> </ul>
<b>რეკომენდაციები:</b> -
<b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b> -
<b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b> <b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b>
<b>შეფასება</b> <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

<h3 style="color: blue;">4.3 მატერიალური რესურსი</h3>
<p>პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.</p>
<p><b>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b></p> <p>უნივერსიტეტისა და პროგრამის განმახორციელებელი ფაკულტეტის საბიბლიოთეკო, მატერიალური და ტექნიკური რესურსები რაოდენობრივად და ხარისხობრივად უზრუნველყოფს წარმოდგენილი ეკოლოგიის (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა) საბაკალავრო პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის განხორციელებაში გამოყენებულია საქართველოს სხვადასხვა რეგიონში უნივერსიტეტის კუთვნილი კვლევითი ბაზების რესურსები. სტუდენტებს აქვთ სრული წვდომა ეკოლოგიის, ზოოლოგიის, ბოტანიკის ინსტიტუტების და თბილისის ზოოპარკის ლაბორატორიულ რესურსებთან, კოლექციებთან და მონაცემთა ბაზებთან. ქალაქგარეთ არსებულ ბაზებთან (ყაზბეგი, გრიგოლეთი, დედოფლისწყარო, ახალდაბა, კვლევითი გემი და სხვ.) უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სწავლების ლაბორატორიულ და საველე კომპონენტებს ლაბორატორიული ტექნიკით და რეაგენტებით. აგრეთვე ტრანსპორტირებით და ბაზებზე განთავსებით.</p> <p>ბიბლიოთეკაში განთავსებულია სილაბუსებით განსაზღვრული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა (მათ შორის ელექტრონულ მატარებლებზე არსებული), რომელიც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის სააკრედიტაციო თვითშეფასებაში წარმოდგენილია გასაუმჯობესებელი მხარე - ქართულენოვანი სასწავლო რესურსის გამდიდრება. პროგრამის ხელმძღვანელთან და ფაკულტეტის დეკანთან ინტერვიუებით დასტურდება, რომ დაწყებულია ზოოლოგიის და ეკოლოგიის ელექტრონულ</p>

სახელმძღვანელოებზე და შავი ზღვის ვემაპისნაირების, ეკოლოგიისა და კონსერვაციის სახელმძღვანელოზე მუშაობა და კონსერვაციული ბიოლოგიის ქართული სახელმძღვანელოს განახლება, ასევე სხვადასხვა ტექსონომიური ჯგუფების ქართულენოვანი სარკვევების შექმნა.

ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა, რომ აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის ერთობლივი მუშაობით შესაძლებელია შეიქმნას საბაკალავრო და სამაგისტრო სწავლებაში საჭირო ქართულენოვანი სახელმძღვანელოები საქართველოსა და კავკასიის რეგიონის მცენარეთა და ცხოველთა ეკოლოგიის მიმართულებით, რასაც დიდი მნიშვნელობა ექნება ეროვნულ დონეზე.

სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია უახლესი სამეცნიერო პერიოდული გამოცემები, საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზები, რომლებიც საშუალებას აძლევს მათ გაეცნონ შესაბამისი მიმართულების/დარგის უახლეს სამეცნიერო მონაცემებს პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, ელექტრონული რესურსებისა და ბიბლიოთეკის დათვალიერება-შეფასება
- სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის სისტემა "არგუსი";
- უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა და სამეცნიერო ბაზები: <http://library.iliauni.edu.ge/>;
- ელექტრონული სწავლების პორტალი: <http://moodle.iliauni.edu.ge/>, Turnitin
- გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები
- ინტერვიუების შედეგები.

**რეკომენდაციები:**

- იდენტიფიცირებული გასაუმჯობესებელი მხარისათვის - ქართულენოვანი სასწავლო რესურსების გამდიდრება, შეიმუშავეთ საშუალოვადიანი და გრძელვადიანი სამოქმედო გეგმები, რომლებიც მხარდაჭერილი იქნება საუნივერსიტეტო დაფინანსებით და შესასრულებელი სამუშაოებისათვის აქტიურად გამოიყენეთ pdca-ციკლის მიდგომები.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის ერთობლივი მუშაობით შესაძლებელია შეიქმნას საბაკალავრო და სამაგისტრო სწავლებაში საჭირო ქართულენოვანი სახელმძღვანელოები საქართველოსა და კავკასიის რეგიონის მცენარეთა და ცხოველთა ეკოლოგიის მიმართულებით, რასაც დიდი მნიშვნელობა ექნება ეროვნულ დონეზე.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

**შეფასება**

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა**

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

პროგრამის უზრუნველყოფისათვის საჭირო ფინანსური რესურსები გათვალისწინებულია ერთიან საუნივერსიტეტო ბიუჯეტში, პროგრამის საჭიროებების შესაბამისი ფორმით და ეკონომიკურად მიღწევადია. პროგრამა ფინანსურად სტაბილურია და მისი ბიუჯეტი ფარავს საოპერაციო ხარჯებს პროგრამის განვითარებისათვის, საჭირო რესურსების დაფინანსების ხარჯებს, პერსონალის ხარჯებს და პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებულ სხვა რელევანტურ ხარჯებს.

პროგრამის სრულყოფილად განხორციელების მიზნით მის ფინანსურ უზრუნველყოფას ახდენს პროგრამის ბიუჯეტი. პროგრამის ბიუჯეტი წარმოდგენილია 20 სტუდენტზე. პროგრამის ბიუჯეტი ითვალისწინებს პირველ რიგში მატერიალურ-ტექნიკური რესურსების გაახლებას, ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის შევსებას, ინტელექტუალური რესურსების მოზიდვას, აკადემიური პერსონალის განვითარებას.

პროგრამაში გათვალისწინებული კვლევითი კომპონენტის და ლაბორატორიული სამუშაოების უზრუნველყოფა ხდება სასწავლო ლაბორატორიებით, აგრეთვე ეკოლოგიის, ზოოლოგიის და ბოტანიკის ინსტიტუტების ტექნიკური აღჭურვილობის გამოყენებით. კვლევით ინსტიტუტებს აქვთ ბიუჯეტი, რომლის ფარგლებში ხდება საჭირო ხარჯების გაწევა.

პროგრამაში ჩართული პროფესორები და მკვლევრები მონაწილეობენ სხვადასხვა სამეცნიერო ფონდების მიერ გაცემულ გრანტებში, რომლის ბიუჯეტიდან ხდება აგრეთვე კვლევისათვის საჭირო რესურსის შექმნა.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიუჯეტი;
- პროგრამის ბიუჯეტი;
- საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის სტრატეგიული გეგმა 2019-2024;
- ინტერვიუს შედეგები;

**რეკომენდაციები:** -

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -**

**შეფასება**

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			

## 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

### 5.1 შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

#### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის მართვაში მონაწილეობს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც წარმოდგენილია სამსახურის ხელმძღვანელითა და ხარისხის განვითარების სპეციალისტებით. ხარისხის განვითარების სპეციალისტები ემსახურებიან გარკვეულ საფაკულტეტო მიმართულებებს, რაც უზრუნველყოფს მჭიდრო და მყისიერ კავშირს პროგრამაში ჩართულ პერსონალთან. ასეთი მიდგომების შედეგად პროგრამის ხელმძღვანელი და აკადემიური პერსონალი მონაწილეობს პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შერჩევისა და შეფასების განხორციელების პროცესში.

პროგრამის განახლების პროცესში ჩატარებულია მოცულობითი სამუშაოები: პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბება და განსაზღვრა, მიღწევის შეფასება და მონიტორინგი, ამ პროცესში რაოდენობრივი და თვისებრივი მაჩვენებლების გათვალისწინება.

წარმოდგენილი პროგრამის თვითშეფასების ანგარიშში მოყვანილი აღწერები და შეფასებები ადასტურებს საუნივერსიტეტო და საფაკულტეტო ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების ნაყოფიერ და აქტიურ თანამშრომლობას პროგრამის შემუშავება-განახლების პროცესში, ასევე განახლებული პროგრამის ფუნქციონირების შემდგომ მიმართებებს, რაც დაკავშირებულია თითოეული სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულებისა და ცალკეული ინდიკატორების მიხედვით შეფასებასთან და ამ შეფასების შედეგების შემდგომ გამოყენებასთან. ამ პროცესებში პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფა ეფუძნება პრინციპს - "დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე".

პროგრამაში ჩართული პერსონალი პროგრამასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებისას ითვალისწინებს ხარისხის შეფასების შედეგებს. ამ მხრივ წარდგენილ საბაკალავრო პროგრამაში "ეკოლოგია (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)" განახლდა პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები თანამედროვე ტენდენციების და საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით. სწავლის შედეგებიდან გამომდინარე განახლდა პროგრამის სტრუქტურა და შემუშავდა პროგრამის რუკა, რომელიც მკაფიოს ხდის პროგრამის საერთო დიზაინს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის თვალსაზრისით.

შემუშავებული პროგრამის რუკის საფუძველზე გადაიხედა და განახლდა პროგრამაში შემავალი კურსების მიზნები და სწავლის შედეგები პროგრამის სწავლის შედეგებთან მათი უფრო მეტი სინქრონიზაციის მიზნით; სტუდენტებისგან მიღებული უკუკავშირის საფუძველზე გადაიხედა სასწავლო კურსებში გათვალისწინებული საათობრივი დატვირთვა; დარგში არსებული თანამედროვე მიღწევების გათვალისწინებით განახლდა სასწავლო რესურსები.

შიდა ხარისხის სამსახური, პროგრამაში ჩართულ პერსონალთან ერთად, ზრუნავს

<p>თვითშეფასების ანგარიშზე მუშაობის დროს გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრაზე, რაც ნათლადაა წარმოდგენილი როგორც თვითშეფასების აღწერილობით ნაწილში, ასევე გასაუმჯობესებელ მხარეებში და დადასტურდა წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და ჩატარებული ინტერვიუებით.</p>
<p><b>მტკიცებულებები/ინდიკატორები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება</li> <li>• ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია</li> <li>• ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები</li> <li>• კვლევის ინსტრუმენტები</li> <li>• საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის სტრატეგიული გეგმა 2019-2024</li> </ul>
<p><b>რეკომენდაციები:</b></p> <p>-</p>
<p><b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b></p> <p>-</p>
<p><b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b></p> <p><b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b></p> <p>-</p>
<p><b>შეფასება</b></p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p><b>5.2 გარე ხარისხის შეფასება</b></p>
<p>პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.</p>
<p><b>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b></p> <p>სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი ხარისხის უზრუნველყოფის შეფასების გარე მექანიზმებად იყენებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესებს, რომელსაც ახორციელებს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი.</p> <p>“ეკოლოგია” (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)-ის საგანმანათლებლო პროგრამის გარე შეფასების მიზნით პროგრამის მიზნების, სწავლის შედეგებისა და დიზაინის შემუშავებისა და დახვეწის პროცესში, გათვალისწინებული იყო როგორც დამსაქმებლების და კურსდამთავრებულების უკუკავშირი, ასევე 2011 წელს აკრედიტაციის პროცესის შედეგად მიღებული რეკომენდაციები.</p> <p>2019 წლიდან პროგრამის ჯგუფმა დაიწყო ე.წ. რე-აკრედიტაციის მოსამზადებელი სამუშაოები, მოხდა პროგრამის მოდერნიზება და თვითშეფასების ფორმირება. პროგრამის თვითშეფასების პროცესში ჩართული იყვნენ კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები.</p> <p>მოცემული პროცესი და აკრედიტაციაზე პროგრამის ხელახალი წარდგენა ადასტურებს დაწესებულების მიმართებას - რეგულარულად გამოიყენოს გარე ხარისხის შეფასება და მისი შედეგები პროგრამის განხორციელებასა და განვითარებაში.</p>
<p><b>მტკიცებულებები/ინდიკატორები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• სააკრედიტაციო განაცხადი,</li> <li>• წარმოდგენილი პროგრამის პაკეტი</li> </ul>

<ul style="list-style-type: none"> <li>• აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის თვითშეფასება</li> <li>• ინტერვიუების შედეგები</li> </ul>
<b>რეკომენდაციები:</b> -
<b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -</b>
<b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b>
<b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -</b>
<b>შეფასება</b> <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

<p><b>5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება</b></p> <p>პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.</p> <p><b>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b></p> <p>პროგრამის შეფასებისათვის დაწესებულება მოქმედებს შიდა ხარისხის კონცეფციის მიხედვით, რომელშიც გათვალისწინებულია შიდა და გარე აქტორების მონაწილეობა შეფასების, მათ შორის პროგრამების შეფასების პროცესებში. კონცეფცია ეყრდნობა ინფორმაციის სისტემურ შეგროვებას, დამუშავებასა და ანალიზს, ამასთან პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით.</p> <p>სისტემური და საჭიროებაზე დაფუძნებული კვლევები/შეფასებები ხორციელდება თვისებრივი, რაოდენობრივი და შერეული მიდგომებით და ეფუძნება ხარისხის მართვაში გამოყენებულ თანამედროვე სტანდარტებს. შიდა ხარისხის სისტემური კვლევების/შეფასებების მეშვეობით ხდება პროგრამის (სწავლა-სწავლების), კვლევის, სერვისების, რესურსების შეფასება განსაზღვრული პერიოდულობით. სისტემური კვლევები იძლევა პერიოდული მონაცემების შეგროვების, დინამიკაზე დაკვირვებისა და განვითარების ტენდენციების განსაზღვრის შესაძლებლობას.</p> <p>ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ ჩატარებული კვლევის დოკუმენტები და ანგარიშები. მათ შორის ბაკალავრიატის კურსდამთავრებულთა გამოკითხვა 2018, ფაკულტეტის სტუდენტთა პროგრამით კმაყოფილების კვლევა 2020. პროგრამით კმაყოფილების კვლევაში წარმოდგენილია შემდეგი საკითხები:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• პროგრამის ცალკეული კომპონენტებით კმაყოფილება</li> <li>• პროგრამის ძლიერი და სუსტი მხარეები დასაქმების ტიპი და ადგილები;</li> <li>• რესპოდენტების რეკომენდაციები პროგრამის დახვეწისა და გაუმჯობესებისათვის.</li> </ul> <p>მოცემული კვლევები ადასტურებს, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური წარმართავს პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების საკითხებს, თუმცა ჩატარებული გამოკითხვების ანალიზის დოკუმენტებში ცალკე არ გამოყოფს რჩევებსა და რეკომენდაციებს იმ გამოვლენილი საკითხებისათვის, რომელსაც ყურადღება უნდა მიექცეს პროგრამის შემდგომ განხორციელებაში. ასეთი შემთხვევისათვის, ვფიქრობთ, რომ მნიშვნელოვანია ანალიზშივე წარმოდგეს მიღებული მიგნებები და შესაბამისი რჩევები/რეკომენდაციები.</p>
--



დაწესებულება ეფექტურად იყენებს სტრუქტურული ერთეულების მიერ შეფასების შედეგებს საქმიანობის გაუმჯობესებისთვის და უნივერსიტეტში სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული ამოცანების შესრულებისათვის.

მისასალმებელია, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, პროგრამის განმახორციელებელ ჯგუფთან ერთად, იდენტიფიცირებული აქვს სამიზნე ნიშნულების მიხედვით პროგრამის თითოეული სწავლის შედეგის შეფასებისა და მონიტორინგის სამუშაოების მნიშვნელობა და ამ პროცესში გამოყენებული მიდგომების პრაქტიკაში დანერგვის გამოწვევები.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ინტერვიუებითა და თვითშეფასების ანგარიშით დასტურდება, რომ პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, გამოყენებულია საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა, რაც ამ ეტაპზე გამოიხატება გაერთიანებული სამეფოს უმაღლესი განათლების ხარისხის კოდექსის გამოყენებით, რომელიც მოიცავს ბიომეცნიერებებისთვის შემუშავებულ სწავლის შედეგების სტანდარტს, მათ შორის ეკოლოგიისა და გარემოს ბიოლოგიის მიმართულებისათვის.

ამრიგად, მონიტორინგისა და პროგრამის შედეგების კომპლექსური მაჩვენებლების გამოყენებით ხორციელდება პროგრამის ეფექტიანობის შეფასება და საჭიროების შემთხვევაში - პროგრამის მოდიფიცირება და გაუმჯობესება.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები
- კვლევის ინსტრუმენტები და ჩატარებული კვლევების ანგარიშები
- ინტერვიუების შედეგები

**რეკომენდაციები:**

- პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების პროცესში გამოკითხვების ანალიზის დოკუმენტებში აისახოს ძირითადი მიგნებები და რჩევები/რეკომენდაციები, რაც იქნება შესაბამისი პასუხისმგებელი სტრუქტურის/პირის შემდგომი ქმედებების ინიცირების საფუძველი.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -**

**შეფასება**

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

**თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)**

**დანართი 1.** დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ეროვნული და საერთაშორისო კვლევითი პროექტების ნუსხა, სადაც ნაჩვენებია სტუდენტთა ჩართულობის მაგალითები.

**უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:** სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

**უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:** ეკოლოგია (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა), საბაკალავრო, მეექვსე

**დასკვნის გვერდების რაოდენობა:** 35

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

**აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე**

**ციცინო თურქაძე**

სახელი, გვარი,

ხელმოწერა




**აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ი**

**ინგა დიასამიძე**

სახელი, გვარი,

ხელმოწერა



**ნინო ლომთათიძე**

სახელი, გვარი,

ხელმოწერა



**მარიამ ლობჯანიძე**

სახელი, გვარი,

ხელმოწერა



**დანართი 1.** დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ეროვნული და საერთაშორისო კვლევითი პროექტების ნუსხა, სადაც ნაჩვენებია სტუდენტთა ჩართულობის მაგალითები.

### სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

#### ეკოლოგიის მიმართულების საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები

ქვემოთ ცხრილში ჩამოთვლილია რამოდენიმე მიმდინარე პროექტი (მრავალი პროექტი დასრულდა 2019-2020-ში, იმ პროექტების ფარგლებში შესრულდა საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომები). ეს ჩამონათვალი არასრულია. გარდა ქვემოთ ჩამოთვლილი პროექტებისა, სტუდენტები ასევე ჩართულნი არიან პროექტებში, რომლებიც ხორციელდება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკოლოგიის ინსტიტუტის, ასევე ზოოლოგიისა და ბოტანიკის ინსტიტუტების ბიუჯეტის დაფინანსებით. აქვე ჩამოვთვლი რამოდენიმე უცხოურ ინსტიტუტს, რომელთანაც მიდის თანამშრომლობა წლების განმავლობაში, დამოუკიდებლად იმისა არსებობს თუ არა ფორმალური შეთანხმება. ესაა ბონის ზოოლოგიის კვლევითი ინსტიტუტი და ბიომრავალფეროვნების ცენტრი, გეტინგენის უნივერსიტეტი, კობლენცის უნივერსიტეტი, ბერლინის თავისუფალი უნივერსიტეტი (გერმანია); აიდაჰოს უნივერსიტეტი; მისურის ბოტანიკური ბაღი (აშშ); ტუმას უნივერსიტეტი (იტალია); ვარშავის ზოოლოგიის ინსტიტუტი (პოლონეთი); სტამბოლის, ზონგულდაკის, რიზეს და ჰაჯეტეპეს (ანკარა) უნივერსიტეტები (თურქეთი); ერვენის უნივერსიტეტი (სომხეთი); გენტის უნივერსიტეტი (ბელგია).

#	პროექტის სათაური	დამფინანსებელი	ხელმძღვანელი	სტუდენტები	პარტნიორი ინსტიტუტები	დასრულება
1	ერთიანი კავკასიური ბიომრავალფეროვნების კვლევის პლატფორმის შექმნის ქართულ-სომხურ-გერმანული ინიციატივა (CaBOL), reg. # 2006 ვებსაიტი <a href="https://ggbc.eu/contact/">https://ggbc.eu/contact/</a>	BMBF (გერმანიის მთავრობა)		<p><i>ბაკალავრები</i></p> <ol style="list-style-type: none"> <li>1.</li> <li>2.</li> <li>3.</li> <li>4.</li> <li>5.</li> <li>6.</li> <li>7.</li> <li>8.</li> <li>9.</li> <li>10.</li> <li>11.</li> <li>12.</li> </ol> <p><i>მაგისტრანტები</i></p> <ol style="list-style-type: none"> <li>1.</li> <li>2.</li> <li>3.</li> <li>4.</li> <li>5.</li> <li>6.</li> <li>7.</li> <li>8.</li> </ol>	<ol style="list-style-type: none"> <li>1. ზოოლოგიის კვლევითი მუზეუმი კონიგი (ბონი)</li> <li>2. კობლენცის უნივერსიტეტი</li> <li>3. გეტინგენის უნივერსიტეტი</li> <li>4. აგრარული უნივერსიტეტი (თბილისი)</li> <li>5. ზოოლოგიის ინსტიტუტი (ერევანი)</li> <li>6. ერვენის სახ. უნივერსიტეტი</li> </ol>	2023 (მე-2 ფაზა)

				9. 10. 11. 12. გ დოქტორანტი		
2	„შავი ზღვის ვემპისნაირების აკუსტიკური კვლევა“ დაიწყო 2020 წლის დეკემბერში	ბრიტანული კომპანია Chelonia Limited www.chelonia.co.uk/ და ისუ		1. (ბაკალავრი) 2. მაგისტრანტი (დასადგენია) 3. დოქტორანტი	Chelonia Limited კომპანია; სტამბოლის უნივერსიტეტი, ორგანიზაცია „Mare Nostrum“, რუმინეთი; ორგანიზაცია “Green Balkan“; კიევის ზოოლოგიის ინსტიტუტი	განუსაზღვრელი
3	"გენომური ტექნოლოგიების განვითარება კავკასიის რეგიონში" (სარეგისტრაციო ნომერი 2169)	ფოლქსვაგენის ფონდი		(ბაკალავრი) (მაგისტრანტი) იგეგმება კიდეც 2 ბაკალავრის შერჩევა	ზოოლოგიის კვლევითი მუზეუმი კონიგი (ბონი)	2022
4	Developing and testing a socio-ecological monitoring system for protecting large mammals in the southern Caucasus	გერმანიის მთავრობა		დოქტორანტი ; იგეგმება მაგისტრანტის აყვანა	Humboldt-University Berlin, Germany (HUB) Yerevan State University, Armenia (YSU) National Academy of Science Azerbaijan WWF Germany WWF Caucasus Programme Office (WWF CauPO)	2024
5	„საქართველოს არიდული ჰაბიტატების კრიპტოგამები: მრავალფეროვნება, კონსერვაცია, პოტენციური გაუდაბნოების მონიტორინგისათვის“ (2019-2022).	სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის NFR-18-14169 გრანტი		(ბაკალავრი)  (დოქტორანტი)		2022

6	სალმონიდები სამხრეთ კავკასიაში: კონსერვაციული სტატუსი, ტაქსონომია და გამოყენება თევზაობის მენეჯმენტში	სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი		(მაგისტრანტი) (დოქტორანტი) დაგეგმილია 2 მაგისტრანტის აყვანა	აიდაპოს უნივერსიტეტი, აშშ	2022
7	ძაღლისებრთა შორის მიმდინარე ჰიბრიდიზაცია	ზოოლოგიის ინსტიტუტი, ვარშავა, პოლონეთი		(დოქტორანტი)	ზოოლოგიის ინსტიტუტი, ვარშავა, პოლონეთი	2021
8	ლემან-ჰაუპტის სადოქტორო სკოლა	ფოლქსვაგენი ს ფონდი		(დოქტორანტი)	გეტინგენის უნივერსიტეტი	
9	გარიელის კვლევა და კონსერვაცია საქართველოში	Conservation Leadership Programme (CLP)		(დოქტორანტი) მაგისტრანტები:	-	2022
10	ზოონოზური ინფექციების ატლასის მომზადება სამხრეთ კავკასიაში	HDTRA 1-19-1-0044		1 დოქტორანტი 2021-დან	-	2022
11	სათაფლია-წყალტუბოს მღვიმეების უხერხემლო ცხოველთა კონსერვაცია	Conservation Leadership Programme ("CLP")		2 მაგისტრანტი	-	2022
12	წვრილი ძუძუმწოვრების დნმ-ბარკოდინგის მონაცემთა ბაზა და ფაუნის შემადგელობის დაზუსტება	შოთა რუსთაველის ფონდი FR -19 - 2295		მაგისტრანტი	-	2022
13	ფაუნის მრავალფეროვნების თანამედროვე მდგომარეობა, სტატუსი და კონსერვაციის პრობლემები	სახელმწიფო სუფსიდიის მიზნობრივი გრანტი		8 მაგისტრანტი, 4 დოქტორანტი	-	2023
14	საქართველოს წითელი ნუსხისთვის მონაცემთა ბაზის მომზადება	GIZ		ჩართულია CaBOL პროექტში ჩართული სტუდენტები	GBIF, IUCN	2021